

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსტრაკურიკულარული
სერვისების ადაპტირება პირველკურსელების დისტანციურად
საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრირებისათვის

მარიამ დოთიაშვილი

მზია ზერეკიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის , ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ჯიბლაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მარიამ ღოთიაშვილი

მზია ზერეკიძე

თარიღი: 26.06.2021

მადლობა

მადლობა გვინდა გადავუხადოთ ყველას, ვინც დაგვეხმარა აღნიშნული პრაქტიკის კვლევის განხორციელებაში. პირველ რიგში, მადლობას ვუხდით თანამშრომლობისთვის კვლევაში აქტიურად ჩართულ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს სპორტის მიმართულებით პეტრე წულუკიძეს. ასევე, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ელენე ჯიბლაძეს, კვლევის ჩატარებისა და სამაგისტრო ნაშრომის შექმნის პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

სარჩევი:

| | |
|--|-----------|
| აბსტრაქტი..... | 1 |
| 1. შესავალი..... | 5 |
| 1.1 პრაქტიკის კვლევა..... | 8 |
| 1.2 საკვლევო კითხვები..... | 11 |
| 1.3 ინტერვენციის აღწერა და შედეგები..... | 12 |
| 1.4 კვლევის შედეგად მიღებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობები..... | 13 |
| 2. ლიტერატურის მიმოხილვა..... | 15 |
| 2.1 საკვლევო საკითხის შესახებ არსებული კვლევების მიმოხილვა..... | 17 |
| <i>2.2.1 საკვლევო საკითხის გააზრებისთვის კრიტიკული მნიშვნელობის მქონე კონცეფციები...</i> | <i>28</i> |
| 2.3 ცვლილების თეორია..... | 30 |
| 3. კვლევის მიზანი და საკვლევო საკითხები..... | 32 |
| 3.1 კონტექსტი: უნივერსიტეტი და სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი..... | 34 |
| 3.2 საკვლევო პრობლემის შერჩევის პროცესი..... | 35 |
| 3.3 კვლევის მიზანი..... | 36 |
| 4. პრაქტიკის კვლევის მეთოდოლოგია..... | 39 |
| 4.1 მონაცემთა შეგროვების მეთოდები..... | 41 |
| 4.2 მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის გეგმა..... | 43 |
| 4.3 კვლევის გრაფიკი..... | 47 |
| 4.4 ინტერვენციის აღწერა..... | 47 |
| <i>4.4.1 ინტერვენცია პირველი: “თანატოლგანმანათლებლობა”.....</i> | <i>48</i> |
| <i>4.4.2 პირველი ინტერვენციის შედეგები.....</i> | <i>50</i> |
| <i>4.4.3 ინტერვენცია მეორე: “ონლაინ ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში”.....</i> | <i>50</i> |
| <i>4.4.4 მეორე ინტერვენციის შედეგები.....</i> | <i>52</i> |
| 5. კვლევის შედეგების აღწერა..... | 53 |
| 5.1 დიაგნოსტიკური კვლევის შედეგები..... | 53 |
| 5.2 ინტერვენციების ციკლის შეფასების შედეგები..... | 54 |
| 6. შედეგების განხილვა..... | 56 |
| დასკვნა..... | 61 |
| რეკომენდაციები..... | 62 |
| ბიბლიოგრაფია..... | 63 |
| დანართები..... | 65 |
| დანართი N 1 – კითხვები სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის წარმომადგენლებთან..... | 65 |

| | |
|--|----|
| დანართი N2 – ჯგუფური ინტერვიუს კითხვები მე-2, მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტებისთვის | 66 |
| დანართი N3 - ჯგუფური ინტერვიუს კითხვები პირველი კურსის სტუდენტებთან..... | 68 |
| დანართი N4 – პირველი ინტერვენციის შესახებ ტექსტი, რომელიც გაეგზავნათ სტუდენტებს | 70 |
| დანართი N5 – მეორე ინტერვენციის შესახებ ტექსტი, რომელიც გაეგზავნათ სტუდენტებს ... | 72 |

აბსტრაქტი

კვლევა ეხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ექსტრაკურისულარული სერვისების გაუმჯობესებას დისტანციურ რეჟიმში. ექსტრაკურისულარული სერვისები მოიცავს სტუდენტებზე მორგებულ აკადემიურ და არაკადემიურ აქტივობებს, რომლებიც სტუდენტებს ეხმარება ლიდერული და პროფესიული უნარების განვითარებაში. ექსტრაკურისულარულ აქტივობებში მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტებში ჯანსაღი აზროვნების ჩამოყალიბებისთვის, სოციალური ინტეგრირებისა და პიროვნული მოტივაციის გაზრდისთვის. ექსტრაკურისულარული აქტივობების ჩატარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველკურსელების საუნივერსიტეტო სივრცეში სოციალური ინტეგრაციისთვის. ეს კვლევა სწორედ მათზეა ორიენტირებული.

2020 წელს დაწყებულმა Covid 19-ის პანდემიამ და სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში გადასვლამ წარმოშვა საჭიროება, რომ ექსტრაკურისულარული აქტივობებიც გადასულიყო დისტანციურ რეჟიმში. ექსტრაკურისულარული აქტივობების ჩატარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველკურსელების საუნივერსიტეტო სივრცეში სოციალური ინტეგრაციისათვის.

პრაქტიკის კვლევა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტში 2020-2021 სასწავლო წელს ჩავატარეთ. მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა უკვე არსებული ექსტრაკურისულარული აქტივობების ადაპტირება ონლაინ სივრცეში და ახალი აქტივობის შექმნა. განხორციელებული ინტერვენციების შედეგად შესაძლებელი გახდა დასახული მიზნის მიღწევა.

სამუშაო ჯგუფმა მიიღო ონლაინ ექსტრაკურისულარული აქტივობის შექმნასთან დაკავშირებული საჭირო გამოცდილება. პრაქტიკის გზით უკვე გამოცდილ იქნა შემუშავებული ახალი აქტივობების მოდელი, რომლის დანერგვასაც სტუდენტურ

საქმეთა დეპარტამენტი მომდევნო სასწავლო წელს უფრო აქტიურად და მასშტაბურად გეგმავს.

პრაქტიკის კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ ფოკუს ჯგუფის და პირისპირი ინტერვიუს მეთოდები. პრობლემის დიაგნოსტიკისას, გამოვიყენეთ ფოკუს ჯგუფები. სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის წარმომადგენლებთან შედგა ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ.

კვლევის მთავარ მიგნებად შეგვიძლია გამოვყოთ, თანატოლგანმანათლებლური მოდელის დანერგვა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია უფროსკურსელების ჩართულობის გაზრდა პირველკურსელების პირისპირ და დისტანციურ რეჟიმში საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრირების გასაზრდელად. ინტერვენციის შედეგად გამოვლინდა, რომ აქტივობაში ჩართულ უფროსკურსელებს აქვთ სურვილი მუდმივად მიიღონ მონაწილეობა საკუთარ გამოცდილებაზე, მრავალფეროვან და წარმატებულ სტუდენტურ ცხოვრებაზე სასაუბროდ.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა ინტერვენციაში ჩართულ მხარეთა ინტერესი თანატოლგანმანათლებლური შეხვედრების ჩასატარებლად, ამას გარდა პრაქტიკის კვლევის ფარგლებში მივალწიეთ სასურველ შედეგს: ონლაინ სივრცეში ადაპტირდა უკვე არსებული ექსტრაკურიკულარული აქტივობა - ონლაინ ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში და შეიქმნა ახალი აქტივობა, რომლის განხორციელება შესაძლებელი იქნება, როგორც დისტანციურ ისე პირისპირ რეჟიმში პირველკურსელი სტუდენტების საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრირებისათვის.

საკვანძო სიტყვები: პრაქტიკის კვლევა, ექსტრაკურიკულარული აქტივობები, ჯგუფური ინტერვიუ, ტინტო მოდელი, თანატოლგანმანათლებლობა.

Abstract

The research concerns the improvement of extracurricular services at Ilia State University by distance learning. Participation in extracurricular activities is especially important for developing healthy thinking, social integration and increasing personal motivation in students. Conducting extracurricular activities is especially important for the social integration of freshmen in the university space.

The Covid 19 pandemic that began in 2020 and the remote switching of the studying process created the need for extracurricular activities to move remotely as well.

Practice research was conducted in the Department of Student Affairs of Ilia State University in the 2020-2021 academic year. The main goal of the practice research was to adapt existing extracurricular activities to the online space and create new activities. As a result of the implemented interventions, it became possible to achieve the set goal.

The working group gained the necessary experience related to creating an online extracurricular activity. Through practice, a model of new activities has already been developed, the introduction of which the Department of Student Affairs plans to be more active and large-scale in the next academic year.

We focus used group and face-to-face interview methods as part of our practice research. To diagnose the problem, we used focus groups. Semi-structured in-depth interviews were conducted with representatives of the Student Affairs Department.

The main findings of the research are the creation of a model for the introduction of peer-to-peer activity, which allows to increase the involvement of senior students in the face-to-face and distance learning to increase their integration into the university space.

The intervention revealed that the senior students involved in the activity are willing to constantly participate in talking about their own experiences, diverse and successful student life.

The research revealed the interest of the parties involved in the intervention to hold peer-to-peer meetings. In addition, we have achieved the desired result in the practice study: the existing extracurricular activity - online rapid chess championship - has been adapted in the online space and a new activity has been created, which will be able to integrate first-year students into the university space.

Keywords: Practice research, Extracurricular activities, Group interview, Tinto model, Peer education.